

ქ. ბაღდათი

სხდომა დაიწყო: 13:00 სთ.

სხდომა დამთავრდა: 15:30 სთ.

სხდომის ადგილი : ქ. ბაღდათის საგანმანათლებლო რესურსცენტრის სხდომათა დარბაზი.

**სხდომას ესწრებოდნენ:**

1. დავით ჯანიაშვილი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. სევერიანე დამბაშიძე -საბჭოს წევრი ;
3. ლაშა ჩიქვინიძე - საბჭოს წევრი;
4. მამუკა ჩხეიძე -საბჭოს წევრი;
5. თამარ გელაშვილი -საბჭოს წევრი;
6. ჯუმბერ ზირაქაძე--საბჭოს წევრი;
7. ანა ლემონჯავა -საბჭოს წევრი;
8. მარიამ თევდორაძე -საბჭოს წევრი;
9. სოფო ნატრიაშვილი.- საბჭოს კოორდინატორი.

სხდომაზე ასევე მოწვეული იყვნენ: სოფო ნატრიაშვილი.- საბჭოს კოორდინატორი;  
ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის წარმომადგენელი ლევან ოყრეშიძე და  
ბაღდათის ტურიზმის განვითარების ცენტრის წარმომადგენელი თამარ ბარბაქაძე .

სხდომას უძღვებოდა დავით ჯანიაშვილი - საბჭოს თავმჯდომარე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას მოახსენა, რომ დაცულია სხდომის მოწვევის წესები, სათანადო წესით მოხდა წევრთა გაფრთხილება და შეტყობინების ჩაბარება სხდომის ჩატარებისა და დღის წესრიგის შესახებ.

სხდომა უფლებამოსილია ხმათა უმრავლესობით მიიღოს გადაწყვეტილებები.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

**დღის წესრიგი:**

1. ქალაქ ბაღდათში ტურისტული ცენტრის შექმნის და ტურიზმის განვითარების სტრატეგიის ინიციატივა. მომხსენებელი - ბაღდათის ტურიზმის განვითარების განყოფილების წარმომადგენლის თამარ ბარბაქაძე.
2. ქალაქ ბაღდათში ახალგაზრდული არტ-კაფეს მოწყობის ინიციატივა.
3. ქალაქ ბაღდათის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში მერიის წარმომადგენლების მრჩეველთა საბჭოების შექმნის და ჩართულობის ინიციატივა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგს.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე: -8

წინააღმდეგი: -0

**დაადგინეს:** დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით და დღევანდელ სხდომაზე განხილულ იქნეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

**საკითხი N1**

**მოისმინეს:** დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით პრეზენტაცია წარმოადგინა - ბაღდათის ტურიზმის განვითარების განყოფილების წარმომადგენელმა თამარ ბარბაქაძემ, რომელმაც საკმაოდ ვრცლად ისაუბრა ტურიზმის სფეროში დღემდე არსებული პრობლემების და შემდეგ უკვე გამოწვევებისა და მიღწეული წარმატებების შესახებ.

**აზრი გამოთქვას:** ლაშა ჩიქვინიძემ და მამუკა ჩხეიძემ რომელმაც აღნიშნეს, რომ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ გამართულ ღვინის ფესტივალებზე მიზანშეწონილია უშუალოდ ამ სფეროში დასაქმებული მეწარმეების გაგზავნა. ვინაიდან ასეთ ფასტივალებზე გამგზავრება გარკვეულ თანხებთან არის დაკავშირებული, საჭიროა მუნიციპალიტეტის მხრიდან გამოიყოს თანხა სრულად დაფინანსებისა და ხელშეწყობისათვის ორი მეწარმის მაინც, რომლებიც წარმოაჩენენ ბაღდათის მუნიციპალიტეტს და ამით კიდევ უფრო მეტი ტურისტი გამოთქვამს სურვილს ბაღდათში მოგზაურობაზე, ამასთანავე მომზადდეს ვიდეო რგოლი, რომელშიც ნაჩვენებია იქნება ბაღდათის ყველა ღირსშესანიშნაობები, არქიტექტურული ძეგლები, მარნები და ა.შ.

საბჭოს ეთხოვა კენჭი ეყარათ წარმოდგენილი კანდიდატებისათვის.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე: -8

წინააღმდეგი: -0

**დაადგინეს:** დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით წარდგენილი იქნეს ინიციატივა ქალაქ ბაღდათში ტურისტული ცენტრის შექმნის და ტურიზმის განვითარების სტრატეგიის შესახებ. ასევე წარდგენილი იქნეს წინადადება საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ გამართულ ღვინის ფესტივალებზე ბაღდათის წარმომადგენლებად მეღვინეობის სფეროში დასაქმებული მეწარმეების გაგზავნისა და მათი სრული დაფინანსებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფის შესახებ .

**საკითხი N2**

**მოისმინეს:** დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით საბჭოს თავმჯდომარემ წევრებს მოახსენა, რომ ბაღდათში არ არის საზოგადოებრივი თავმჯდომარის ისეთი ადგილი სადაც ქალაქი მაცხოვრებლები შეძლებენ ერთმანეთთან კომუნიკაციასა და თავშეყრას. ყოველდღიური ცხოვრების შინაარსობრივი დატვირთვისათვის მნიშვნელოვანია ბაღდათში არტ-კაფეს მოწყობა და შესაბამისი შენობის მოძიება მის განსათავსებლად.

**აზრი გამოთქვა** თამარ გელაშვილმა, რომელმაც მხარი დაუჭირა ინიციატივას და ისაუბრა მის მნიშვნელობაზე ქალაქის ცხოვრებაში.

საბჭოს ეთხოვა კენჭი ეყარათ წარმოდგენილი კანდიდატებისათვის.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: -8

წინააღმდეგი: -0

დაადგინეს: დღის წესრიგის მორე საკითხთან დაკავშირებით წარდგენილი იქნეს ინიციატივა ქალაქ არტ-კაფეს მოწყობისა და შესაბამისი შენობის მოძიების შესახებ.

საკითხი N3

მოისმინეს: დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით საბჭოს თავმჯდომარემ ისაუბრა ქალაქ ბაღდათის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების მრჩეველთა საბჭოების შექმნის და ჩართულობის საჭიროების შესახებ.

აზრი გამოთქვა ლაშა ჩიქვინიძემ, რომელმაც არ დაუჭირა მხარი აღნიშნულ ინიციატივას.

საბჭოს ეთხოვა კენჭი ეყარათ წარმოდგენილი კანდიდატებისათვის.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: -7

წინააღმდეგი: -1

დაადგინეს: დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით წარდგენილი იქნეს ინიციატივა ქალაქ ბაღდათის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების მრჩეველთა საბჭოების შექმნის შესახებ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვასთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

სხდომის მდივანი:



/დავით ჯანიაშვილი/

/მარიამ თევდორაძე/